საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2461-02
05/09/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ასტრონომიის მიმართულებით ასისტენტ - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, 2017 წლის 1 სექტემბრის N35/3261 მინდობილობის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის №5 და 2017 წლის 1 სექტემბრის N8 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2017 წლის 5 სექტემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ასტრონომიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის** 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ასტრონომიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **ნინო ყოჩიაშვილი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მინდობილი პირი